საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა 2023-2024

პროექტის ხელმძღვანელი: ეკატერინე ბასილაია

პროექტის მკვლევრები: მამუკა ანდღულაძე, ნინო ნარიმანიშვილი, მანონი ბოკუჩავა, ხატია ყურაშვილი და დეა მანაგაძე.

დოკუმენტზე მუშაობდნენ: ეკატერინე ბასილაია, მამუკა ანდღულაძე, ნინო ნარიმანიშვილი, მანონი ბოკუჩავა, ხატია ყურაშვილი, დეა მანაგაძე და ანა ქეშელაშვილი.

დოკუმენტი მომზადდა „მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრის" (CMIS) მიერ საქართველოში ა.შ.შ-ის საელჩოს მხარდაჭერით. დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია „მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი" და ის შესაძლოა არ ასახავდეს საქართველოში ა.შ.შ-ის საელჩოს შეხედულებებს.

დოკუმენტიდან ამონარიდების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ იმ პირობით, რომ დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან მოწყვეტილად.

სარჩევი

შესავალი	4
მთავარი მიგნებები	5
საერთო სურათი - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირება	6
სახელმწიფო ინსტიტუტების რეაგირება - დეტალურად	11
მოთხოვნილი ინფორმაციის თემატიკა	15
შეჯამება	17

შესავალი

2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის აგვისტოს ჩათვლით „მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრმა“, საქართველოში ა.შ.შ-ის საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის მხარდაჭერით განახორციელა პროექტი - „მედიის თავისუფლების და მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გზით“. პროექტის მიზანი იყო მედიასაშუალებებისა და მოქალაქეების მხარდაჭერა საჯარო ინფორმაციის მომზადების პროცესში, ასევე, მედიასაშუალებებთან პარტნიორობით, მათ მიერ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და საჯარო უწყებების მხრიდან ამ ინფორმაციაზე რეაგირების მონიტორინგი. ამ უკანასკნელმა საშუალება მოგვცა შეგვექმნა მონაცემთა ბაზა, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორ რეაგირებენ სხვადასხვა საჯარო უწყებები მედიის, მოქალაქეების და ჩვენი ორგანიზაციის მიერ გამოთხოვილ ინფორმაციაზე. საჯარო ინფორმაციის მოთხოვნების მიმართ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან რეაგირებამ დაგვანახა რამდენად სისტემური ხასიათი აქვს პრობლემას იმ ფონზე, რომ საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა საქართველოს კანონმდებლობით არის გარანტირებული. საქართველოს კონსტიტუციის მე-17 მუხლი უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ხოლო ზოგად ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისა და მიღების წესს. ადმინისტრაციული უწყებების სამართლებრივი ვალდებულებაა უზრუნველყონ გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის დროული და ჯეროვანი მიწოდება.

პროექტის ფარგლებში მონიტორები ყველა მსურველ ჟურნალისტს/მედიასაშუალებას, ასევე, სხვა კერძო პირებს ეხმარებოდნენ საჯარო ინფორმაციის მოპოვების პროცესში. მონაცემები შეგროვდა 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის ივლისის ჩათვლით პერიოდში. “მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრის” მკვლევრებმა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოქმედ 46 მედიასაშუალებასთან თანამშრომლობით შეაგროვეს მონაცემები. პარალელურად, შეგროვდა მონაცემები მოქალაქეების მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან გამოთხოვილ ინფორმაციაზე რეაგირებასთან დაკავშირებით. მომზადდა პროექტის ვებგვერდი (www.cmis.ge), სადაც განთავსებულია მონაცემთა ბაზა და საიდანაც ნებისმიერ მსურველს (მოქალაქეს და ორგანიზაციას) შეუძლია შეტყობინების გამოგზავნა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მომზადებაში პროექტის თანამშრომლებისგან დახმარების მიღება.

მთავარი მიგნებები:

- სამართლებრივი ვალდებულების მიუხედავად ცენტრალური და ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები საჯარო ინფორმაციის წერილების 41% არ პასუხობენ საერთოდ, ან კანონით დადგენილ ვადების დარღვევით პასუხობენ - 18%.
- მთლიანობაში, ცენტრალურ და ადგილობრივ უწყებები შესულ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა მხოლოდ 26%-ს გაეცემა სრულყოფილი პასუხი.
- ცენტრალური უწყებები ნახევარზე მეტ შემთხვევაში (53%) არ პასუხობენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებს. ამასთანავე, წერილების 11%-ზე პასუხს ვადის გადაცილებით სცემენ.
- ცენტრალური უწყებები იშვიათად გასცემენ სრულყოფილ პასუხებს, - 19%.
- ადგილობრივი უწყებები უპასუხოდ ტოვებენ მოთხოვნათა 38%-ს, ხოლო ვადაგადაცილებით სცემენ პასუხს 20%-ს.
- ადგილობრივი უწყებების მიერ მიღებული წერილებიდან სრულყოფილად გაეცა პასუხი მხოლოდ 28%-ს.
- საჯარო უწყებებში გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილების თემატიკა ძირითადად სოციალური დასაქმების პროგრამას უკავშირდებოდა (22%), საიდანაც 55% უპასუხოდ დარჩა, მიღებული პასუხების თითქმის ნახევარი - 49% ვადის დარღვევით დაბრუნდა. სრულყოფილი პასუხი დაბრუნდა მხოლოდ 12%-ზე, ნაწილობრივი 10%-ზე. მეორე თემა, რომელიც დომინირებდა - მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვას ეხებოდა, საერთო მონაცემების 20%-ია, უპასუხოდ დარჩა მოთხოვნათა ერთი მეოთხედი- 25%. მიღებული პასუხებიდან 31% ვადის დარღვევით დაბრუნდა. სრულყოფილი პასუხი მოვიდა 24%-ზე.

კვლევის ფარგლებში გამოვლენილი გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ნაკლებობა ცენტრალური და ადგილობრივი უწყებების მხრიდან, აფერხებს საჯარო ზედამხედველობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც თავის მხრივ ართულებს საზოგადოების ჩართვას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საზოგადოების ინფორმირებულობას და მათი მხრიდან თანამდებობის პირებზე პასუხისმგებლობის დაკისრებას.

საერთო სურათი - საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირება

შეგროვებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სხვადასხვა უწყებასა თუ ორგანიზაციაში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით 1863 წერილი გაიგზავნა. აქედან მოქალაქეთა ინიციატივით გაგზავნილი წერილების რაოდენობა არის 63, რომლებიც მათი მომართვის საფუძველზე "მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრმა" გააგზავნა.[1]

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილების მესამედზე მეტი, 41% (764 წერილი) საერთოდ უპასუხოდ დარჩა, ხოლო 18%-ზე (341) პასუხი დაგვიანებით, კანონით დადგენილი ვადების გადაცილებით დაბრუნდა. მიუხედავად იმისა, საბოლოოდ ინფორმაცია სრულყოფილად გაიცა თუ ნაწილობრივ, თუ უარის წერილი მოვიდა, პასუხის დაგვიანება კანონის დარღვევად ითვლება.

დიაგრამა 1. რეაგირება ინფორმაციის მოთხოვნაზე



უფრო დეტალურად თუ შევხედავთ, ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის წერილების მეოთხედზე ცოტა მეტ, 26,2% (488) შემთხვევაში დაბრუნდა ამომწურავი პასუხი, თუმცა ამ პასუხების 26% (128) დადგენილი ვადის დარღვევით იქნა მიწოდებული. შესაბამისი უწყებების მიერ ნაწილობრივ გაეცა პასუხი წერილების თითქმის მესამედს, 30,5% (569). აქაც დიდია ვადების დარღვევით გაცემული ინფორმაციის წილი - 35% (201). წერილობითი უარი პასუხზე დაბრუნდა 27 (1,4%) შემთხვევაში, აქედან თითქმის მესამედი, 30% (8) - დაგვიანებით. კატეგორიით „სხვა" აღნიშნულ 15 (0,8%) შემთხვევაში მოიაზრება დაბრუნებული შუალედური პასუხები, პირობით, რომ მოთხოვნა შესრულდებოდა, თუმცა მათი სტატუსი არ შეცვლილა კვლევის მონაცემების ანალიზის პერიოდისთვის.

1 ეს მაჩვენებლები მხოლოდ ჩვენ ხელთ არსებული მონაცემების აღწერაა და არ მიანიშნებს რომელიმე რეგიონის მედიისა თუ მოქალაქეთა უფრო მეტ ან ნაკლებ ჩართულობაზე, ან რომელიმე რეგიონის ინსტიტუტების მიმართ თუ მხრიდან უფრო მეტ ან ნაკლებ ყურადღებაზე. ეს მაჩვენებლები არ უნდა იქნას აღქმული რეპრეზენტატიულად და შესაბამისად, მათი ანალიზი მხოლოდ რეგიონის შიგნით პროპორციების განსაზღვრითა და შედარებით არის შესაძლებელი, რისი შედეგებიც ქვემოთ იქნება უფრო დეტალურად მოწოდებული.

დიაგრამა 2. ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირება



შენიშვნა: მოცემული პასუხები აერთიანებს როგორც ვადის გათვალისწინებით, ასევე ვადის დარღვევით მიღებულ წერილებზე პასუხებს.

თუ ზემოთ აღნიშნული მონაცემების თანახმად ჩანს, რომ ნახევარზე მეტ შემთხვევაში გარკვეული პასუხი მიიღეს ინფორმაციის მოთხოვნაზე ჟურნალისტებმა/ორგანიზაციებმა, ქვემოთ მოცემული დიაგრამა უფრო ნათლად გვაჩვენებს, რამდენად შეძლეს მათ საჯარო ინფორმაციის დროულად მიღება შესაბამისი უწყებებიდან, რამდენადაც ასახავს ასევე დადგენილ ვადებში და ვადის დარღვევით მიღებული პასუხების წილსაც.

დიაგრამა 3. დადგენილ ვადასა და ვადის დარღვევით მიღებული პასუხები



თუ საერთო სურათს შევხედავთ, გაგზავნილი 1863 წერილიდან სრულყოფილი პასუხი, კანონით დადგენილ ვადაში, დაბრუნდა სულ რაღაც 360 მოთხოვნაზე. ნაწილობრივ გაეცა პასუხი 368 წერილს, ხოლო უარი წერილობით დაბრუნდა 19 შემთხვევაში. სხვა სტატუსი აქვს 11 წერილზე პასუხს, სადაც შედის წერილები, რომლებზედაც მხოლოდ შუალედური პასუხი იყო მიღებული, ან ნებისმიერი ისეთი წერილი, რომლებიც წინასწარ განსაზღვრულ კატეგორიებში ვერ მოხვდა.

მონაცემები ნათლად აჩვენებს საჯარო ინფორმაციაზე წვდომის თვალსაზრისით არსებულ სისტემურ პრობლემებსა და დარღვევათა მრავალსახეობას. მაგალითად, დაგვიანებით მიღებული პასუხი შესაძლოა უსარგებლო აღმოჩნდეს მედიის, მოქალაქისა თუ სხვა ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ინფორმაციას საჭიროებს და ითხოვს. ინფორმაცია მალფუჭებად პროდუქტად არის მიჩნეული და კონკრეტულ სიტუაციაში მისი დაგვიანებით გაცემა არა მხოლოდ კანონით დადგენილი მოთხოვნების დარღვევაა, არამედ მედიისთვის სერიოზულ დაბრკოლებას ქმნის იმ კონკრეტული მომენტისთვის აქტუალური ინფორმაციის გაშუქების მხრივ.

დადგენილ ვადაში 1863 მოთხოვნიდან მხოლოდ 19%-ზე (360) მიღებული სრულყოფილი პასუხი ძალიან დაბალი მაჩვენებელია. საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ კითხვებზე ზედაპირული ან არასრული პასუხების მიწოდება, სამწუხაროდ, ასევე გავრცელებული პრაქტიკაა - თითქმის მესამედ შემთხვევებში სწორედ ამგვარი პასუხი ბრუნდებოდა ინფორმაციის მოთხოვნაზე. ამასთან, ნაწილობრივი პასუხების 35% დაგვიანებით იქნა დაბრუნებული, რაც ასევე პოტენციურად კიდევ უფრო უსარგებლოს ხდის ინფორმაციას. ეს ყველაფერი კი იმისფონზე, რომ ძალიან ხშირად მოთხოვნას ინფორმაციაზე სხვადასხვა ინსტიტუტები საერთოდ უპასუხოდ ტოვებენ. ამის შესახებ ქვემოთ უფრო ვრცლად ვისაუბრებთ.

რეაგირება ცენტრალური და რეგიონული უწყებებიდან

თითქმის ერთი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების თანახმად, მედიასაშუალებები და არასამთავრობო ორგანიზაცია “მედიის, ინფორმაციის და სოციალური კვლევების ცენტრი” საჯარო ინფორმაციას ყველაზე ხშირად საქართველოს სხვადასხვა ცენტრალური უწყებიდან ითხოვდნენ (21% მოთხოვნილი ინფორმაციის საერთო რაოდენობიდან). რეგიონებს შორის საკმაოდ დიდია იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციული ორგანოებიდან ინფორმაციის მოთხოვნის რაოდენობა - კერძოდ, წერილების საერთო რაოდენობის 18%. სამეგრელო-ზემო სვანეთსა და კახეთში ეს მაჩვენებელი 10%-ია, დანარჩენ რეგიონებში კი 10%-ზე ნაკლები. ქვემოთ მოცემული ცხრილი უფრო დეტალურად აჩვენებს სხვადასხვა რეგიონების უწყებებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის რაოდენობასა და წილს საერთო მონაცემებში.

ცხრილი 1.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლება	მოთხოვნა	უპასუხო	ვადის დარღვევით	ვადაში
ცენტრალური	390 (21%)	207 (53%)	44 (11%)	139 (36%)
იმერეთი	335 (18%)	111 (33%)	64 (19%)	160 (45%)
სამეგრელო-ზემო სვანეთი	179 (10%)	62 (35%)	41 (23%)	76 (42%)
კახეთი	178 (10%)	61 (34%)	53 (30%)	64 (36%)
აჭარა	142 (8%)	58 (41%)	25 (18%)	59 (42%)
ქვემო ქართლი	139 (7%)	52 (37%)	29 (21%)	58 (42%)
სამცხე-ჯავახეთი	133 (7%)	47 (35%)	22 (17%)	64 (48%)
შიდა ქართლი	105 (6%)	51 (49%)	21 (20%)	33 (31%)
რაჭა-ლეჩხუმი/ქვემო სვანეთი	72 (4%)	32 (44%)	7 (10%)	33 (46%)
თბილისი	66 (4%)	34 (52%)	3 (5%)	29 (44%)
მცხეთა-მთიანეთი	64 (3%)	19 (30%)	24 (38%)	21 (33%)
გურია	60 (3%)	30 (50%)	8 (13%)	22 (37%)
სულ	**1863**	**764 (41%)**	**341 (18%)**	**758 (41%)**

ზემოთ მოცემული ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სულ მცირე ერთ მესამედს უპასუხოდ ტოვებენ როგორც ცენტრალური, ისე რეგიონების ადგილობრივი ადმინისტრაციული უწყებები. ხშირად პასუხები კანონით დადგენილი ვადების დარღვევით ბრუნდება, ხოლო ათი დღის ვადაში წერილების ნახევარიც კი არ ბრუნდება.

არსებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს, შევადაროთ ერთმანეთს ცენტრალური უწყებებისა და მთლიანად რეგიონების უწყებების მხრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე რეაგირების მაჩვენებლები. ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოებიდან ინფორმაცია მოთხოვნილი იქნა 390-ჯერ, ხოლო რეგიონული უწყებებიდან - 1473-ჯერ. როგორც ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს, გაგზავნილი წერილების უმრავლესობა, 53% (207) ცენტრალურმა ორგანოებმა უპასუხოდ დატოვეს და მხოლოდ 36%-ს (139) გასცეს პასუხი კანონით დადგენილ ვადაში, პასუხების 11% (44) კი ვადის დარღვევით დააბრუნეს. რეგიონების შემთხვევაში უფრო ნაკლებია უპასუხოდ დარჩენილი წერილების წილი, იგი 38%-ს (557) შეადგენს, ვადაში დაბრუნებული პასუხები კი ცოტა უფრო მეტი, 42%-ია (916). კანონით დადგენილი ვადის დარღვევით დაბრუნდა პასუხები გაგზავნილი მოთხოვნების ერთ მეხუთედზე, 20%-ზე (297).

დიაგრამა 4. ცენტრალური და რეგიონული ინსტიტუტების რეაგირება



საერთო ჯამში, ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოებისგან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნათა მხოლოდ 19%-ს (74) გაეცა სრულყოფილი პასუხი, ხოლო 20%-ს (79) - ნაწილობრივი პასუხი. 17 (4%) შემთხვევაში დაბრუნდა უარი პასუხზე, ხოლო 13-ს (3%) სხვა სტატუსი აქვს. თუმცა, მიღებული პასუხების თითქმის ერთი მეოთხედი, 24% (44) დადგენილი ვადების დარღვევით დაბრუნდა.

ადგილობრივი უწყებების (თვითმმართველობა, საკრებულო, მერია, მათ შორის თბილისის) მიერ სრულყოფილი პასუხი გაეცა მოთხოვნათა 28%-ს (414), ხოლო ნაწილობრივი - 33%-ს (490), 10 შემთხვევაში (1%) დაბრუნდა უარი პასუხზე, ხოლო სხვა სტატუსი მხოლოდ 2 (0,1%) წერილს აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ საერთო ჯამში პასუხები 916 წერილზე დაბრუნდა, თუმცა, აქედან 32% (297) კანონით დადგენილი ვადების დარღვევით მივიდა ავტორებთან.

დიაგრამა 5. რეაგირება ცენტრალური და რეგიონული უწყებებისგან



შენიშვნა: მოცემული პასუხები აერთიანებს როგორც ვადის გათვალისწინებით, ასევე ვადის დარღვევით მიღებულ წერილებზე პასუხებს.

თუ შევადარებთ ცენტრალური და რეგიონული მონაცემების პროპორციებს, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონული ხელისუფლება მოთხოვნილ ინფორმაციაზე სრულყოფილ ან ნაწილობრივ პასუხებს უფრო ხშირად აბრუნებს და ნაკლებად ტოვებს წერილებს უპასუხოდ, ვიდრე ცენტრალური ხელისუფლება.

სახელმწიფო ინსტიტუტების რეაგირება - დეტალურად

მთელი საქართველოს მასშტაბით შეგროვებული მონაცემების თანახმად, ინფორმაცია ყველაზე ხშირად, 982 (52,7%) შემთხვევაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისგან, მერიისა და საკრებულოდან არის გამოთხოვილი. მათ მოჰყვება სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები (ააიპ-ები), რომელთა უმრავლესობას ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დაარსებული ორგანიზაციები წარმოადგენს. ა(ა)იპ-ებისთვის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართვის 451 შემთხვევა იქნა შესწავლილი.

ცხრილი 2.

სახელმწიფო ინსტიტუტები	მოთხოვნა სულ
ადგილობრივი თვითმმართველობა	982 (52,7%)
ააიპ	451 (24,2%)
სსიპ	183 (9,8%)
აღმასრულებელი ხელისუფლება	156 (8,4%)
სასამართლო ხელისუფლება	30 (1,6%)
დამოუკიდებელი ორგანოები	29 (1,6%)
სახელმწიფო კომპანიები	17 (0,9%)
საკანონმდებლო ხელისუფლება	9 (0,5%)
სხვა	6 (0,3%)
სულ	**1863**

როგორც ცხრილიდანაც ჩანს, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (სსიპ-ებს) 183 შემთხვევაში მიემართა ინფორმაციის მოთხოვნა, ხოლო მთავრობას, სამინისტროებს, პრეზიდენტის ადმინისტრაციას თუ სამხარეო რწმუნებულებს, რომლებიც ანგარიშში აღმასრულებელი ხელისუფლების კატეგორიის ქვეშაა გაერთიანებული, მიმართეს 156 შემთხვევაში. სასამართლო ხელისუფლებისთვის ინფორმაციის მოთხოვნით მიმართვის მხოლოდ 30 შემთხვევა შეგროვდა. სახელმწიფოს დაფუძნებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს (შპს) მხოლოდ 17 შემთხვევაში მიმართეს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით. დამოუკიდებელი ორგანოებიდან, რომლის ქვეშაც გაერთიანდა პროკურატურა, სპეციალური საგამოძიებო სამსახური, მარეგულირებელი კომისიები, ცენტრალური საარჩევნო კომისია, ინფორმაცია 29-ჯერ გამოითხოვეს. გაცილებით ნაკლები მოთხოვნა იყო ინფორმაციაზე საკანონმდებლო ორგანოდან, რომელსაც მხოლოდ 9-ჯერ მიმართეს, ხოლო სხვა დანარჩენი ტიპის ორგანიზაციებიდან, როგორიც არის, მაგალითად, ეროვნული სკრინინგ-ცენტრი, საქართველოს რაგბის კავშირი და სხვ. - 6-ჯერ.

ქვემოთ მოცემული დიაგრამიდან ჩანს ზემოთ ჩამოთვლილი ინსტიტუტების რეაგირება მიღებულ წერილებზე; კერძოდ, რამდენად აბრუნებდნენ პასუხს კანონით დადგენილ ვადაში, რამდენად არღვევდნენ ვადებს, ან უპასუხოდ ტოვებდნენ მოთხოვნას. ნათელია, რომ მოთხოვნების პასუხის გარეშე დატოვება ყველა ტიპის ინსტიტუტების შემთხვევაში საკმაოდ ხშირია, ისევე, როგორც პასუხის ვადების დარღვევით გაგზავნა.

დიაგრამა 6. ადმინისტრაციული ორგანოების რეაგირება



ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, როგორც უკვე აღინიშნა შესწავლილი მონაცემების თანახმად, ყველაზე ხშირად მიმართავდნენ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით, აქედან თითქმის მესამედ შემთხვევებში (31%) მოთხოვნა პასუხგაუცემელი დატოვეს, გაცემული პასუხების 20% კი დადგენილი ვადების დარღვევით დაუბრუნდა ადრესატს. პასუხები ამომწურავად იქნა გაცემული 33% შემთხვევებში, 36% კი მხოლოდ ნაწილობრივ თუ ზოგადად პასუხობდა მოთხოვნას. საჯარო ინფორმაციაზე მოთხოვნას პასუხის გარეშე კიდევ უფრო ხშირად, 55% შემთხვევებში ტოვებდნენ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირები, რომლებიც მოთხოვნას ხშირად (22%) ვადის დარღვევით პასუხობდნენ. მათ თხოვნას ამომწურავად მხოლოდ 19% შემთხვევაში გასცეს პასუხი, 26% შემთხვევაში კი კითხვებს ნაწილობრივ უპასუხეს. მიუხედავად იმისა, რომ შედარებით ნაკლები მოთხოვნა შევიდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, მათაც, წერილების 45% უპასუხოდ დატოვეს და პასუხების 13% დაგვიანებით, დადგენილი ვადების დარღვევით დააბრუნეს. თხოვნის სრულყოფილად და ნაწილობრივ დაკმაყოფილება თანაბრად მოხდა გაგზავნილი წერილების 25-25% შემთხვევებში. აღმასრულებელი

ხელისუფლებისგან ინფორმაციის მოთხოვნის 156 შემთხვევიდან 93, ანუ 60% უპასუხოდ დარჩა. ვადის დარღვევით დაბრუნდა ინფორმაციის 11% და საბოლოო ჯამში მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია მხოლოდ 10% შემთხვევებში იყო სრულყოფილი, 22% შემთხვევებში კი - ნაწილობრივ ჰქონდა პასუხი გაცემული კითხვებს. დანარჩენი ტიპის უწყებებში ბევრად ნაკლები წერილი გაიგზავნა ინფორმაციის მოთხოვნით და დეტალურად არ განვიხილავთ, თუმცა, ამ შემთხვევებშიც მაღალია უპასუხოდ დარჩენილი წერილების წილი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი უფრო დეტალურად აჩვენებს, სხვადასხვა მმართველობითი ინსტიტუტების მიერ დაბრუნებული პასუხების ხარისხსა და რაოდენობას.

ცხრილი 3.

მმართველობითი ინსტიტუტები	სრულყოფილი	ნაწილობრივი	უარი პასუხზე	სხვა	პასუხი სულ	აქედან - ვადაგადაცი-ლებული
ადგილობრივი თვითმმართვე-ლობა	320 (33%)	355 (36%)	6 (1%)	1 (0%)	682	194 (28%)
ააიპ	86 (19%)	118 (26%)	0	1 (0%)	205	98 (48%)
სსიპ	45 (25%)	45 (25%)	4 (2%)	5 (3%)	99	23 (23%)
აღმასრულებელი ხელისუფლება	15 (10%)	35 (22%)	8 (5%)	5 (3%)	63	17 (27%)
სასამართლო ხელისუფლება	5 (17%)	8 (27%)	4 (13%)	1 (3%)	18	3 (17%)
დამოუკიდებელი ორგანოები	9 (31%)	3 (10%)	4 (14%)	2 (7%)	18	2 (11%)
სახელმწიფო კომპანიები	4 (24%)	2 (12%)	1 (6%)	0	7	0
საკანონმდებლო ხელისუფლება	4 (44%)	1 (11%)	0	0	5	3 (60%)
სხვა	0	2 (33%)			2	1 (50%)
სულ	**488 (44%)**	**569 (52%)**	**27 (2%)**	**15 (1%)**	**1099**	**341 (31%)**

საერთო ჯამში 1863 წერილზე 1099 პასუხი დაბრუნდა, თუმცა აქედან თითქმის ერთი მესამედი, 341 (31%) - კანონით დადგენილი ვადების დარღვევით, რაც ნათლად მიანიშნებს მმართველობითი ინსტიტუტების მხრიდან საჯარო ინფორმაციის ღიაობის ხელშეწყობის დაბალ ხარისხზე. დაბრუნებული პასუხების მხოლოდ 44% (488) პასუხობდა მოთხოვნას სრულყოფილად, ხოლო 52% (569) - მხოლოდ ნაწილობრივ იძლეოდა გამოთხოვილ ინფორმაციას. 27 (2%) წერილის პასუხად უარი გამოიგზავნა, 15 (1%) წერილს კი სხვა სტატუსი აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ დაბრუნებული სრულყოფილი პასუხების თითქმის ერთი მეოთხედი, 24% (82), კანონის დადგენილი ვადის დარღვევით არის მიღებული, რაც ნიშნავს, რომ გაგზავნილი 982 მოთხოვნიდან მხოლოდ 238 წერილზე იქნა მიღებული სრულყოფილი პასუხი, ხოლო ნაწილობრივი პასუხი 246 წერილზე მიიღო. არანაკლები დარღვევა იყო ააიპ-ებიდან მოთხოვნილ პასუხებშიც, საიდანაც 205 წერილის პასუხებიდან 98 დადგენილი ვადების დარღვევით დაბრუნდა, ასევე საკანონმდებლო ხელისუფლებაში გაგზავნილი 5 წერილიდან 3-ს პასუხი ვადის დარღვევით გაეცა.

მოთხოვნილი ინფორმაციის თემატიკა

მოთხოვნილი ინფორმაცია ყველაზე ხშირად, 22% (415) შემთხვევაში, სოციალური დასაქმების პროგრამას უკავშირდებოდა. აქედან მოთხოვნათა 55% (229) უპასუხოდ დარჩა, ხოლო მიღებული პასუხების თითქმის ნახევარი, 49% (92) დადგენილი ვადების დარღვევით დაბრუნდა. მათგან სრულყოფილი პასუხი მხოლოდ 49 წერილზე (12%) გაეცა, ნაწილობრივ იქნა გაცემული პასუხი 42 წერილზე (10%).

დიაგრამა 7. მოთხოვნილი ინფორმაციის თემატიკა



კიდევ ერთი თემა, რომელთან დაკავშირებითაც საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა ხშირად ხდებოდა, ეხებოდა მუნიციპალური ბიუჯეტის ხარჯვას. მსგავსი მოთხოვნა ჩვენს ხელთ არსებული საერთო მონაცემის 20%-ს (365) შეადგენს. მათგან უპასუხოდ დარჩა მოთხოვნათა 25% (93), ხოლო მიღებული 272 პასუხიდან 31% (84) დადგენილი ვადების დარღვევით დაბრუნდა. მოთხოვნილ საჯარო ინფორმაციაზე სრულყოფილი პასუხი გაეცა გაგზავნილი 365 წერილიდან მხოლოდ 24%-ს, 89 პასუხი დაბრუნდა კანონით დადგენილ ვადაში, ხოლო არასრულყოფილი პასუხი დროულად დაბრუნდა 99 (27%) წერილზე.

მნიშვნელოვნად ნაკლები იყო სხვა თემებზე გამოთხოვილ წერილთა რაოდენობა. მათი მრავალფეროვნება ნათლად ჩანს ზემოთ მოცემული დიაგრამიდან.

შეჯამება

წინამდებარე ანგარიში მიმოიხილავდა 2023 წლის სექტემბრიდან 2024 წლის ივლისის ბოლომდე პერიოდში შეგროვებულ მედიის და საზოგადოების მიერ საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ საჯარო ინფორმაციის მონაცემებს. გაანალიზებული მონაცემები ნათლად ასახავს საქართველოში მედიისა და მოქალაქეებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებულ მნიშვნელოვან გამოწვევებს. პასუხგაუცემელი და დაგვიანებული წერილების მაღალი პროცენტი მიუთითებს პრობლემის სისტემურ ხასიათზე.

სახელმწიფო უწყებების მიერ, მედიისა და მოქალაქეების საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე ინფორმაციის არმიწოდება სერიოზული შეშფოთებისა საფუძველია გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და დემოკრატიული პრინციპების კუთხით. არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად ახდენს ზეგავლენას სახელმწიფო უწყებების მიმართ ნდობის დაკარგვაზე, რაც თავის მხრივ ძირს უთხრის დემოკრატიას და მოქალაქეების დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობას. ანგარიშვალდებულების პრინციპის უგულებელყოფა ზღუდავს ჟურნალისტების და მოქალაქეების შესაძლებლობას აკონტროლონ ხელისუფლების საქმიანობა. გამჭვირვალობის ნაკლებობამ შეიძლება შექმნას კორუფციისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ნოყიერი ნიადაგი. ყოველივე ეს არღვევს როგორც კანონმდებლობას, მოქალაქეთა და მედიის უფლებებს, ასევე აფერხებს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მედიისთვის, შეიძლება განვიხილოთ ასევე, როგორც მედიის სანდოობის და რეპუტაციის დამაზიანებელი ქმედება. თითოეული ჟურნალისტური ნამუშევარი, რომელიც თავისი თემატიკიდან გამომდინარე საჭიროებს საჯარო ინფორმაციის - საჯარო მონაცემების დამუშავებას და ანალიზს, მასალის ამ ნაწილის გარეშე გამოქვეყნების შემთხვევაში, ექცევა აუდიტორიის მხრიდან უნდობლობის გამოწვევის რისკის ქვეშ. შესაბამისად, პასუხისმგებლიან ჟურნალისტიკას სჭირდება პასუხისმგებლიანი გარემოს შექმნა საჯარო სექტორის მხრიდან.

მოქალაქეთა მხრიდან საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაბალი მაჩვენებელი მიანიშნებს, რომ აუცილებელია საზოგადოების ცნობიერების და ინფორმირებულობის ამაღლება ამ საკითხზე, რათა მოქალაქეებმა, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მსგავსად, აქტიურად გამოითხოვონ საჯარო ინფორმაცია.

ამ ანგარიშის დასკვნები ხაზს უსვამს გადაუდებელ აუცილებლობას გაუმჯობესდეს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. აღნიშნული კი უნდა ეფუძნებოდეს პოლიტიკურ ნებას, რათა შესრულდეს ინფორმაციის თავისუფლების პრინციპები, რა დროსაც მოხდება კანონის აღსრულებაზე ეფექტური მექანიზმების შემოღება, ისევე როგორც საჯარო ინფორმაციაზე არ გაცემის შემთხვევაში პასუხისმგებლობის საკითხის დადგენა. აღსანიშნავია საკანონმდებლო ცვლილების საკითხიც, კერძოდ წლების წინ, სამოქალაქო სექტორის მიერ შემუშავებულმა “ინფორმაციის თავისუფლების შესახებ” კანონპროექტმა, თავის დროზე დამოუკიდებელი და წამყვანი ექსპერტების მიერ უმაღლესი შეფასება დაიმსახურა. თუმცა აღნიშნული კანონპროექტი, მიუხედავად ვალდებულებისა, მმართველმა პარტიამ არ მიიღო. შესაბამისად, არსებული საკანონმდებლო სფეროს გაუმჯობესების მხრივ, აუცილებელია, ზემოაღნიშნული კანონპროექტის ინიცირება და მედიის, სამოქალაქო სექტორისა და დაინტერესებული პირების ჩართულობით შემჭიდროებულ ვადებში მიღება.